ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10

15 აპრილი 2015 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ, **„ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“**, ცენტრის დირექტორის ზეინაბ ბურჯანაძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №15, ტელ: 27-34-30), (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ სსიპ **„ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“** წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის თორნიკე მარჯანიშვილის სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ.#17) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. 19 აპრილს, ქართული ტრადიციული მუსიკის საღამოს მოწყობის მიზნით. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს 18 აპრილს რეპეტიციის გამართვის მიზნით თეატრით მომსახურებას.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება: 1000 (ერთი ათასი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი: 70300000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის“ მხრიდან „ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი "მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

3. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე.

4.2 მიმწოდებლის მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება.

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2015 წლის 20 აპრილამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მომსახურების დასახელება და ღირებულება.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას მოახდენს ქალაქ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 20 მაისამდე.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

14. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

ააიპ ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი

მის: ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №15

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა"

ბ/კოდი: TRESGE22

ს/კოდი: 212904712

ზეინაბ ბურჯანაძე

დირექტორი

სსიპ „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის
ოპერისა და ბალეტის პროფესიული
სახელმწიფო თეატრი"

მის: ქ.ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. #17

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა"

ბ/კოდი:TRESGE22

სახაზინო კოდი: 708407019

ს/კოდი: 212698482

თორნიკე მარჯანიშვილი

სამხატვრო ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებლი